№ 39
სამშაბათი, 20 თებერვალი 1896

1877—1896

№ 39
სამშაბათი, 20 თებერვალი 1896

იმერია

ფასი:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„იმერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„იმერიის“ ტელეფონი №227

ეროვნული ბიბლიოთეკა

უოვლად-სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაგრიელის გვამის გელათის მონასტერში გადასვენება და დაკრძალვა დიდის თოვლებისა და უგზოობის გამო 10 მარტისათვის იქმნა გადადებული.

თბილისის სასელმწიფო თეატრი

ოთხშაბათს, 21 თებერვალს

ქართველ არტისტების ამხანაგობისაგან გამართული იქნება წარმოდგენა ეფ. მესხისა ბ-ნი ვ. აბაშიძის და კ. მესხის მონაწილეობით

ქალაქ სან-ფენ

კომედია 4 მოქმედ. მორო და სარდუსი, თარგ. კ. მესხის მიერ

მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნი ეფ. მესხისა, ჩხეიძისა, ბეზირგანოვისა, ცივცივაძისა, არლანისა, ბ-ნი აბაშიძე კ. მესხი, გუნია, შათირიშვილი, კანდელაკი, ადამიძე და სხვანი.

ადგილების ფასი დაკლებულია

პარტერში ადგილები ღირს 50 კ.—3 მანეთამდე, ლოჟები 4 მ. გალერეია 25 კ.

დასწყისი სწორედ 8 სასთზედ.

გამგენი: { კ. მესხი. ვ. აბაშიძე.

მზადდება ადრიანა ლეკუვრერ, ხანუმა, მარგარიტა გოტიე, რუსთაველი და სხვ.

ტფილისი, 20 თებერვალი.

ძალიან ადვილი გასაგებია, თუ რად გვეჩქარება სკოლის დაარსება.

ფელეტონი

სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდამ.

(მოგონება).

I

— ბიჭო, ალექსიძე, აქა რჩები დიდ-მარხვის პირველ კვირაში? დაეკითხა რუხრუხიანი ალექსიძეს, სწორედ იმ დროს, როდესაც ზამთრის სუსხიანმა ქარმა კვნესით შემოუქროლა ტ—სის ერთ-ერთ კარ-დახშულ სასწავლებლის ფართო აივანს და სუბუქად ჩაცმულ ალექსიძეს კანკალი დააწყებინა.

— მერე რა გნებავს? ღიმილით უთხრა მკითხველს.

— არაფერი!.. საყდარში ერთად ვიაროთ საზიარებლად. დინჯის კილოთი მიუგო რუხრუხიანმა და ეშმაკურად ჩაიცინა.

—ხა, ხა, ხა! გადიხარხარა ალექსიძემ, სწვდა მკლავში თავისს ამხანაგს და სიცილ-კასკასით კლასში შეიტაცა, სადაც მათ სიცილს შეუერთდა ერთად შეგროვილ ამხანაგების ყველას კარგად ესმის, რომ ქალების განათლება მეტად ჩამორჩა უკან და აუცილებლად საჭირო მოთხოვნილებას შეადგენს ჩვენთვის, ჩვენის ქვეყნისთვის. წინა წერილში*) ჩვენ უპირატესობა მივეცით საშუალო რეალურს სასწავლებელს ოთხ-კლასიან ორის სამეურნეო განყოფილებით სასწავლებელთან შედარებით. ჩვენის ფიქრით ამგვარი სასწავლებელი უფრო საჭიროა ჩვენთვის: ის საკმაოდ გაწრთვნის და გაანათლებს მოზარდ თაობას, მისცემს მას იმდენს ცოდნას, რომ თუ საშუალება ექნება უმაღლეს სასაწავლებელშიაც შეუძლიან შესვლა, ხოლო თუ არ ექნება საშუალება, იმდენად მომზადებული მაინც იქნება, რომ ცხოვრებაში გამოიყენებს: შვილებსაც რიგიანად აღზრდის, საზოგადო მოღვაწეთაც ივარგებს, ქალაქშიც და სოფელშიც თავის ადგილას იქნება, იქნება ნამდვილი, შეგნებული ინტელიგენტი, რომელიც ასე ესაჭიროება ჩვენ ქვეყანას. ოთხ-კლასიანი სასწავლებელი სამეურნეო განყოფილებით-კი ვერც რიგიანს ზოგადს სწავლას მიაღებინებს ქალებს, ვერც მეურნეთ გახდის.

ასეა თუ ისე ეს საგანი კარგად უნდა განვიხილოთ, კარგად უნდა გავითვალისწინოთ და ჩვენის საშუალებათა—ერთის მხრით და მოთხოვნილებათა მიხედვით—მეორეს მხრით უნდა დაარსდეს საუკეთესო სასწავლებელი ქალთათვის...

*) იხ. «იმერია“ № 38

თავი დავანებოთ ეხლა სკოლის ტიპის შესახებ ლაპარაკს და ვნახოთ—შეიძლება თუ არა სკოლის ახლავ დაარსება, როგორც ამას გვირჩევს მაგალითად „კვალის“ ხსენებული წერილი.

ის სკოლა, რომელიც უკვე შედგენილს პროგრამას აქვს სახეში, შესდგება, როგორც ვთქვით, ოთხ მოსამზადებელ, ოთხ პროგიმნაზიულ და ორ სამეურნეო კლასებიდამ—სულ მაშასადამე ათ-კლასიანი სასწავლებელი უნდა იქმნეს; სამეურნეო განყოფილებისთვის საჭირო იქნება აგრეთვე მიწა ერთი-ორი დესეტინა მაინც. საშუალო რეალური სასწავლებელი-კი, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ, შესდგება ორის მოსამზადებელ და ექვსის გიმნაზიულ კლასებიდამ, სულ რვა-კლასიანი სასწავლებელია, მაშასადამე, ორთა შუა რიცხვით ორივე ამ სასწავლებლისთვის საჭირო იქნება თითქმის ერთი და იგივე თანხა, ვამბობთ „თითქმის“ იმიტომ, რომ მეორე სასწავლებლის შენახვა, საფიქრებელია, ცოტა მეტი დაჯდება. რადგან ასეა, ჩვენი მოსაზრებანი საშუალებათა შესახებ, ორივე ტიპის სკოლებს ეკუთვნის.

პატივცემულ „ქალთა კომიტეტს“ დღემდის შეუგროვებია სულ თექვსმეტ-ათას მანეთამდე. ცხადია, ამ ფულით არავითარი სასწავლებელი არ დაარსდება. თანხას ხელს ვერ ვახლებთ, ხოლო სარგებელი—800 მანეთამდე—რას იზამს, რა საქმეს გააკეთებს? ამბობენ, საქმე დავიწყოთ, ჯერ-ჯერობით ცოტა ფული დაგვიგია და უშველებელმა გუგუნმა ბანი მოსცა აივან-დერეფანში მოქვითინე ქარსა.

შესვლის უმალვე ალექსიძემ ამხანაგებს გადასცა რუხრუხიანის ოხუნჯობა და კვლავ განუწყვეტელი ხარხარი მოისმა. მაგრამ ვიდრე მკითხველისათვისაც გასაგები შეიქმნება რუხრუხიანის სიტყვების აზრი, ვიდრე მოწაფეები დაწყნარდებოდნენ და ჩვეულებრივ გამომეტყველებას მიიღებდნენ, ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ იმ დროისა და სასწავლებლის შესახებ, რომლიდამაც ჩვენი ამბავი იწყება და რომელსაც ჩვენი „მოგონება“ თავს დასტრიალებს.

—

აღებას სული ხდებოდა და დიდ-მარხვის გამეფებას რამდენიმე საათი-ღა აკლდა. მართალია ეს ისეთი დროა, რომ ყველა დიდს მზადებაშია ხოლმე. ყველა სცდილობს, რომ აღების ღამეს უკანასკნელად დაივახშამოს სასხნილოთი და ღირსეულად შეხვდეს „მარხვას სინანულისას და აღდგომას—სიხარულისას“, მაგრამ ყველაზედ გულის-ცემით დიდ-მარხვას იმ კარ-დახშულ სასწავლებლის მოწაფენი მოელოდნენ, სადაც ალექსიძე, რუხრუხიანი და სხვა მრავალი—ძე, ოკი და შკიდი სწავლობდა. მათთვის კარგიც იყო და ავიც ეს დიდ-მარხვა: პირველ კვირას გაკვეთილებისაგან თავისუფალი იქნებოდნენ, ზიარებით „ცოდვებისაგან განთავისუფლდებოდნენ“, თუმცა-კი ამავე დროს, ცის-ამარა დღეს ფეხზედ დგომით მოთმინებიდგან გამოსულნი, ხელ-ახლავ ღმერთს შესცოდავდნენ და მთავრობას ხომ უფრო გააბრაზებდნენ... მაგრამ მაინც რაღაც სიამოვნებითა თუ აღტაცებით ეგებებოდა თვითოეული მოწაფე დიდ-მარხვასა და ეს მათთვისაც გაუგებარი სულის-კვეთება ერთმანეთთან აახლოვებდა, მტკიცედ აკავშირებდა.

მეტის-მეტი სუსხიანი საღამო იყო. ზამთრის მკაცრს გრიგალს მოწაფენი თავ-თავიანთ კლასში შეემწყვდია, დაესუფთავებინა სასწავლებლის ფართო აივნები და მარტო თითონ ბატონივით დასეირნობდა. დრო-გამოშვებით ეზოში დაკიწიაწდებოდა ხოლმე, დაფერფლილ თოვლს ააფორიაქებდა, კორიანტელს ჭირდებაო და შემდეგ-კი აღმოჩნდება თანხაო, მაგრამ განა შესაძლებელია სათუოთ დავიწყოთ ასეთი დიდი საქმე? რომ არ აღმოჩნდეს და იძულებული გავხდეთ სკოლა დავხუროთ, ეს რა შთაბეჭდილებას მოახდენს საზოგადოებაზე? ეს ხომ დაამარცხებს დიდის ხნით საქმეს?! ჩვენის ფიქრით, სანამ მტკიცეთ აღნიშნული სახსარი, სანამ ნამდვილი წყარო არ იქნება დანიშნული, მანამ საქმის განხორციელება მეტად საშიშია!.. სათავადაზნაურო ბანკის იმედი ჯერ-ჯეროობით არ უნდა გვქონდეს. საქმე ის არის, რომ შარშან გადაწყდა სათავად-აზნაურო სკოლას უნდა ემატოს გიმნაზიული კლასები; ბანკს, რაც შეუძლიან წმინდა შემოსავლიდამ ამისთანა საქმისათვის გადასდოს, „იმისი თითქმის $^3/_4$ მაინც ამ სკოლას დასჭირდება; ხოლო რაც სკოლას გადარჩება, ის თავად-აზნაურობას უნდა გადაეცეს ქარვასლის ვალებიდან დახსნისათვის. ეს დიდი საჭიროებაა და ბანკის საზოგადოების მოვალეობაა დაეხმაროს თავად-აზნაურობას ამ საქმეში. ქარვასლა შესანიშნავი მამულია; როდესაც ეს სულს მოითქვამს ვალებისაგან, როდესაც მას საჭირო რემონტი გაუკეთდება, როდესაც მისი ექსპლოატაცია კარგათ იქნება მოწყობილი, ქარვასლა დიდ განძად შეიქნება, მისი წმინდა შემოსავალი 50—60 ათასი მანეთი მაინც იქნება. „იმერიის“ მე-282 ნომერში დასტამბულმა მოწინავე წერილმა გვიჩვენა კიდევ ერთი სახსარი. ქართლ-კახეთის თავადაზნაურობას რამდენიმე წლის წინად სამაგალითო დადგენილება მოუხდენია: გარდაუწყვეტია თავად-აზნაურობაზე გაწერით შემოღებულ იქმნას გარდასახადი, რათა ამით შესდგეს თანხა სასწავლებელთა დაარსებისთვის და შენახვისთვის. აუცილებლად საჭიროა ეს სამაგალითო გარდაწყვეტა სისრულეში იქმნას მოყვანილი. ამ ფონდთან ერთად ბანკის შემოსავალი და ქარვასლის შემოსავალი ისეთ დიდს თანხას შეადგენენ, რომ შესაძლებელი იქნება შენახვა როგორც ვაჟებისა და ქალების ორის სკოლისა, ისე მომავალ სამეურნეო ოძისის სასწავლებლისაც... ამ ჟამად ყველა ბანკს შესცქერის და მისგან თხოულობს შველას: ქარვასლაც ვალებისაგან დაიხსენიო, სათავად-აზნაურო გიმნაზიაც შეინახეო, ქალების სასწავლებელიც და სამსურნეო სკოლაც დააარსეო და სხვა-და-სხვა. ამ გზით ბანკის შემოსავალი მეტად ნაწილ-ნაწილდება და ვერც ერთს საქმეს ვერ გაუძღვება სავსებით. უფრო სასარ-გებლო იქნება ბანკს დაევალოს (სათავად-აზნაურო სკოლის შენახვის გარდა, რასაკვირველია) დაეხმაროს თავად-აზნაურობას ქარვასლის ვალებიდამ დახსნაში. როდესაც ქარვასლას ვალები მოშორდება, მაშინ დადგება დროც ჩვენის განზრახულებათა სისრულეში მოყვანისათვის...

ქალების სკოლისათვის აუცილებლად საჭიროა მუდმივის თანხის მტკიცედ აღნიშნულის წყაროს გაჩენა. ყოველი ეს დღეს გამოურკვეველია და უთუოდ უნდა მოვიცადოთ იმ დრომდე სანამ გამოირკვეოდეს. რასაკვირველია სასწავლებელი ერთბაშათ არ არსდება, საქმე მცირედან იწყება, მაგრამ მცირედის დაწყებაც მხოლოდ მაშინ უნდა, როდესაც გეცოდინება, რომ საქმის წინსვლა შესაძლებელია, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ სკოლის საქმე ერთ წერტილზე არ შეჩერდება... ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, ყოველ-მორწმუნენი ხმის ამოუღებლობას და ერთგულება-მორჩილებას ეძახიან... მხოლოდ ათასში ერთხელ, დაჭახრაკებულ ცხოვრებას ზღუდე ერღვეოდა ხოლმე და ადამიანთა ამაღლებული სულის კვეთება უსამართლობა—ძალ-მომრეობისაგან ხსნასა ლამობდა. მაგრამ უნდა გენახათ რა საზარელი ტირილი და ქვითინი გაისმოდა ხოლმე ამ დროს მონობისაგან გულ დახავსებულ მშობლების ბაგეთაგან, რა ყველრებამუქარით აღიჭურვებოდნენ ხოლმე ძალის მექონი, როგორ ულმერთოდ ისჯებოდნენ მოწაფენი და მაშინ ადვილათ წარმოიდგენდით, რომ ზემორე აღწერილ ცხოვრებას აგრე ადვილათ ნივრი არ შეეცვლებოდა, არ გაუმჯობესდებოდა, პირიქით უფრო გამწვავდებოდა, უფრო გასაძაგლდებოდა. დიახ, ამ სასწავლებლის ცხოერება თავისს მნიშვნელობას—მოზარდთა აღზრდას,—ივიწყებდა და მარტო „შენ-ჩემობას, ბატონ ყმობას ემსახურებოდა, მარტო სატევ და საგერ მწვრილმან ინტერესების შეჭიდების მოედანი ხდებოდა. ხშირად გარეშენიც-კი მხარს უჭერდენ ძალ-ალაგებულ სასწავლებლის ოთხ-კლასიანი ორის სამეურნეო განყოფილებით-კი ვერ ერიგიანს ზოგადს სწავლას მიაღებინებს ქალებს, ვერ მეურნეთ გახდის.

ასეა თუ ისე ეს საგანი კარგად უნდა განვიხილოთ, კარგად უნდა გავითვალისწინოთ და ჩვენის საშუალებათა—ერთის მხრით და მოთხოვნილებათა მიხედვით—მეორეს მხრით უნდა დაარსდეს საუკეთესო სასწავლებელი ქალთათვის...

ფელეტონი

სურათები მოწაფეთა ცხოვრებიდამ.

(მოგონება).

I

— ბიჭო, ალექსიძე, აქა რჩები დიდ-მარხვის პირველ კვირაში? დაეკითხა რუხრუხიანი ალექსიძეს, სწორედ იმ დროს, როდესაც ზამთრის სუსხიანმა ქარმა კვნესით შემოუქროლა ტ—სის ერთ-ერთ კარ-დახშულ სასწავლებლის ფართო აივანს და სუბუქად ჩაცმულ ალექსიძეს კანკალი დააწყებინა.

— მერე რა გნებავს? ღიმილით უთხრა მკითხველს.

— არაფერი!.. საყდარში ერთად ვიაროთ საზიარებლად. დინჯის კილოთი მიუგო რუხრუხიანმა და ეშმაკურად ჩაიცინა.

—ხა, ხა, ხა! გადიხარხარა ალექსიძემ, სწვდა მკლავში თავისს ამხანაგს და სიცილ-კასკასით კლასში შეიტაცა, სადაც მათ სიცილს შეუერთდა ერთად შეგროვილ ამხანაგების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ქარვასლისა და თავად-აზნაურთა ფონდის საქმეები ამ რამდენიმე წლის განმავლობაში გამოირკვევიან და მხოლოდ მაშინ შეიძლება ქალების სასწავლებლის დაარსების საქმესაც შევუდგეთ.

ლალი.

—

გუშინ შესრულდა 35 წელიწადი მას შემდეგ, რაც რამდენიმე ათი დაოცი მილიონი რუსეთის ხალხი ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლებულ იქმნა. დიადი რეფორმა იყო ეს რეფორმა, დიდს აღტაცებაში მოიყვანა მთელი რუსეთი, მაშინდელს ახალგაზდობას სიცოცხლის გაზაფხული დაუყენა. მათ გატაცებულს იმედებს, სურვილებს სამზღვარი არა ჰქონდა. ან-კი რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა დიდ მნიშვნელოვანი იყო ეს რეფორმა? ამაზედ ბევრი თქმულა და გადათქმულა. ამ ეპოქას ტყუილად არ უწოდა ცნობილმა იურისტმა ჯანშიევმა „ეპოქა დიდთა რეფორმათა“. თვით მმართველობისა, ნაფიც მსაჯულთა და სასამართლო ახალ წეს-წყობილების შემოღება, უნივერსიტეტის და ცენზურის ახალი წესდების შედგენა და კიდევ მრავალი წვრილმალი, რომელთა ჩამოთვლაც ძნელია, შეადგენენ ბრწყინვალე და დამამშვენებელს თვალმარგალიტს რუსეთის ისტორიისას. 35 წელიწადი გავიდა მას შემდეგ და რომ ამ რეფორმების მსვლელობა ისეთივე ყოფილიყოს, როგორიც დასაწყისი იყო, მაშინ უნდა გენახათ რა დიდებული რეფორმა იყო იგი. მაგრამ... წაიკითხეთ ბ. ჯანშიევის წიგნი „ეპოქა დიდთა რეფორმათა“ ეს მშვენიერი დრამაა, დრამა, რომელიც უმაღლესს კომედიას უახლოვდება. მართლაც მრავალი იმათგანი, რომელიც თავში უდგა ამ რეფორმებს და დღესაც ცხოვრების სათავეში არიან, სრულიად წინააღმდეგ გზას დაადგენ. იგინი ყვიროდენ ეს რეფორმები უფრო უნდა გავაფართოვოთ, თორემ ისე არ ივარგებსო. მაგრამ ეს იყო 35 წლის წინად, ხოლო დღეს-კი ამბობენ შევცდით, ის რეფორმები აღარ ვარგიან, შევ-

---

ლის მექონეთ და ჰკიცხავდენ „არნაუტ ბავშვებსა“ და ის უბრალო ბუნების კანონიც-კი ავიწყდებოდათ, რომ ძალ-დატანებას სამართლიანი წინააღმდეგობაც მოსდევს და ბევრი „ჰოო, ჰოო! ხარსაც გააგიჟებს ხოლმე. მაგრამ რახან ესე სჯიან მოწაფეთა პატრონნი და გულის შემატკივარნი დეე ისინი იყვნენ პასუხის მგებელნი და ჩვენ-კი ისევ კლასში თავ-მოყრილ მოწაფეებს დავუბრუნდეთ.

—

დაცხრა, დაშოშმინდა მოწაფეთა კრება, მხოლოდ ალექსიძე ისევ ლაპარაკობდა და კლასის ღუმელზე აყუდებული სიცილით ეუბნებოდა რუხრუხიანს.

— არა, ისე გულიანად რომ მეპატიჟებოდი საყდარში, განა მე-კი ავცდები წირვა-ლოცვაზე სიარულსა? ეს ხომ ჩვენი უპირველესი მოვალეობაა!

— კი, მაგრამ, ჩემი ხუმრობაც ხომ ჩვენი სულის-კვეთების გამომხატველია? უპასუხა რუხრუხიანმა ისეთის კილოთი, თითქოს უნდა აგრძნობინოს რომ, „ტყუილად ჩამჩიჩ ბეედ

კრიჭოთ იგინი და პატარ-პატარად მთლად მოვსპოთო... დიაღ, ამ გზას დაადგენ და დღეს სიხარულისა და აღტაცების მაგიერ მხოლოდ სევდა მოგვფენია გულს.

Z.

ახალი ამბავი

—

*** სოფ. ლამის-ყანა: 11 თებერვალს ლამის-ყანის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი ჩვენის დაუვიწყარის მღვდელმთავრის გაბრიელ ეპისკოპოსის სულის მოსახსენებლად. წირვის შემდეგ ბლალოჩინმა ხახუტაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ნათლად დაუხატა დამსწრე საზოგადოებას ცხოვრება და ღირს-შესანიშნავი მოღვაწეობა განსვენებულის ეპისკოპოსისა. წირვა-პანაშვიდს დაესწრნენ ადგილობრივი სკოლის მოწაფენი, რომელთაც იგალობეს მთელი წირვა-პანაშვიდი.

*** ქართველ არტისტებს ამხანაგობა შეუდგენია, რომელიც წარმოდგენებს გამართავს ამ დიდ მარხვაში სახაზინო თეატრში. მოწვეული ჰყავთ ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა და ეფ. მესხის ასული. აპირებენ სხვათა შორის „მარგარიტა გოტიეს“ და „ხანუმას“ წარმოდგენას.

*** კვირას, 18 თებერვალს, ტფილისის მესამე გიმნაზიაში აქტი იყო. როგორც მოხსენებიდამ სჩანს, გიმნაზიაში ყოფილა 419 მოწაფე; ამათგან რუსები შეადგენენ 26%-ს, ქართველები 9%-ს, სომხები 58%-ს, ებრაელები 4%-ს, თათრები 0,2% და სხვა ეროვნებისა 4%-ს. ქართველთაგან 1-ლს ხარისხის ჯილდო მიუღია მხოლოდ ერთს, მეხუთე კლასის მოწაფეს საყვარელიძეს, ხოლო მეორე ხარისხისა მიუღია სულ 40 მოწაფეს.

*** „მოსკ. ვედ.“ში ვკითხულობთ, რომ დიდმარხვის მეორე კვირაში უმაღლესი მთავრობა კავკასიის საქმეების გარჩევაში იყო. ორ'მაბათს მინისტრთა კომიტეტმა მოისმინა წლიური ანგარიშები კავკასიის გუბერნა-

---

კარგად იცი, რისთქმაც მინდოდაო“.

მართლადაც ჩვენ მიერ დასახელებულ სასწავლებლის მოწაფენი ერთიერთმანეთში ხშირად თავისებურ ენაზე ლაპარაკობდნენ და ეს ენა, ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტად და მოსწრებულად წარმოთქმული წინადადებანი, თუმცა შეიძლება ბევრისთვის უაზრო, უმარილო და უმნიშვნელო იყოს, თვით მოწაფეებს ბევრ რამეს აგრძნობინებდა და გულიანადაც გააცინებდა ხოლმე. ერთ-ფეროვანის, ერთი და იმავე ცხოვრებით თავ-მობეზრებულნი, ხშირად ოხუნჯობაში გამოსთქვამდნენ ხოლმე, მოსწონთ თუ არა, უყვართ თუ სძაგთ რომელიმე საგანი, რომელიმე მოქმედება.

ახლაც, იმიტომ ხარხარებდა მთელი კლასი რუხრუხიანის სიტყვებზე, რომ ამ ოხუნჯობამ ყველას გული მოფხანა.

II

დაბინდდა, სანთლები აანთეს და მოწაფენი ჯგუფა-ჯგუფად დაიყო.

აგერ რამდენიმე მოწაფეს გამოუქექნია კლასის დიდის „ეკონომიით“ გახურებული, დაფერფლილი ღუმე-

---

ტორებისა; სამშაბათს სახელმწიფო საბჭოში უნდა განეხილათ ზოგიერთი პრინციპიალური საგანი კავკასიის მართვა-გამგეობის შესახებ; ხუთშაბათს სინოდის ობერ-პროკურორს სჯა უნდა ჰქონოდა დუხობორთა შესახებ.

მთავარ-მართებელი შერემეტევი და გუბერნატორი თავ. შერვაშიძე თებერვლის დამლევს გაემგზავრებიან ტფილისშიო, სწერენ პეტერბურგიდამ იმავე გაზეთს. მალე წავა აგრეთვე ტფილისში ახალი პროკურორი ტფილის პალატისა ვასილიევი.

სენატორთა რევიზიის დანიშვნა კავკასიაში თუმცა ჯერ-ჯერობით არ არის გარდაწყვეტილი, მაგრამ საგულისხმოა, რომ ასეთი რევიზია იქნება დანიშნულიო.

*** გუშინ-წინ ვარანცოვის ძეგლის ახლო, სასტუმროში, შეუხტა ვილაც ბოროტ-გამზრახველი სასტუმროში ჩამომხტარ ვაჭარს და რევოლვერით დასჭრა, როდესაც ფულის თხოვნაზე უარი მიიღო. დამნაშავე შეიპყრეს.

*** გუშინ-წინ, თუმანოვის ქუჩაზე, დედის თვალისწინ თავი მოიკლა პოლშელ ახალ-გაზდამ; მოხუცებული დედა ებრძოდა და არ ანებებდა თურმე თავის მოკვლას, მაგრამ ვერას გახდა.

*** სად. ქიშლი: 11 თებერვალს აქ ერთი უბედურება მოხდა. რკინის გზის მოსამსახურე სტეფანე შჩეხბაცოვის ცოლს ცეცხლი მოეკიდა იმ დროს, როდესაც სამოვარში ნავთს ასხამდა; ცეცხლი ტანისამოსზედ მოედო, გაუსკდა ნავთის ჭურჭელი და მალე ოთახი ალმა მოიცვა. შეშინებულმა ქალმა კარებს ვეღარ შეჰბედა, შეხტა ფანჯარაზე, გამოამტვრია და გარედ გადახტა. აქ ქარმა დაუბერა და ცეცხლი უარესად მოედო. ყვირილზე ქმარი და სხვა მეზობლებიც მივიდნენ. მეორე ოთახში თურმე პატარა ძუძუთა ბავშვი იწვა ტახტზე და დედა იმას-ღა ეეედრებოდა იქ მყოფთ—მე თავი დამანებეთ, ბავშვი გადაარჩინეთო. კაცმა ვერავინ გაბედა, მაგრამ არ შეუშინდა ცეცხლს მეზობლის ქალი, ასე თოთხმეტის წლისა, შევარდა ოთახში და ბავშვი გამოიყვანა. მართალია ცეცხლმა არც

ესენი დასტოვა უვნებლად, მაგრამ მორჩენის იმედი მაინც აქვთ ექიმებს; ხოლო რაც შეეხება თვითონ შჩერბაკოვის ცოლს, ის-კი მეორე დღესვე თურმე გარდაიცვალა ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში, სადაც 11-ს თებერვალსვე გაგზავნეს ცეცხლისაგან დაშავებულნი.

*** სოფ. მეჯვრისხევი: ხუთშაბათს, 8 ამ თვეს, მეჯვრისხევის საზოგადოებამ ადგილობრივი სამღვდელოთი გადვიხადეთ პანაშვიდი დაუვიწყარის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად.

*** დაბა დილიჟანი. აქ, სოფლებ პოღოს ქილისას და კარავანსარაიაში ადგილობრივმა ბოქაულმა კნ. აბაშიძემ ქ. ყაზახის მაზრის უფროსის მოწერილობით დღეს დააკეტინა სომხებს სკოლები და დაასვა სახელმწიფო ბეჭედი.

თოვა აქეთ შესწყდა. დაიჭირა კარგი დარები და თოვლმა დაიწყო დნობა.

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ.

—

ᲒᲣᲠᲘᲐ. წრეევანდელი ზამთარი ღმერთა შეინახოს! 14 იანვარს შემდეგ გამუდმებით მოდის თოვლი, წვიმა, ქარ-ბუქი ყოველგვარი ღვთის რისხვა. თოვლი ზოგან სამ არშინზე იდო, ზოგან ორზე და ერთ-ნახევარზე. არშინზე მეტ ნაკლები თოვლი ახლაც არის. ერთის კვირის განმავლობაში მაინც ისეთი ვაიუშველებელი ამინდი იყო, რომ აღარ ვიცოდით თოვლი დედა-მიწიდამ ამოდიოდა, თუ ჩვეულებრივ ზევიდამ მოდიოდა. ბევრი სახლი, სასიმინდე და ბეღელი დაანგრია გააფთრებულმა ქარ-ბუქმა, შემდეგ დაუშვა წვიმა და აზვავდა ეს ვაება თოვლი. ამბობენ, თოვლის ზვავმა სურებში ორი ადამიანი იმსხვერპლაო. ვინ იცის, სხვაგან რა უბედურება დაატრიალა. გზები შეკრულია, მისვლა-მოსვლა შეწყვეტილი, შორეულ ამბების გაგება-კი არა, მეზობელთანაც გასაჭირი შეიქნა მისვლა. გაძვირდა საქონლის საკვები. გაძნელდა სიმინდის დაფქვა. ბევრს ხელ-მოკლე ოჯახში მოხარშულის სიმინდით იკვებებიან. თოვლის ზვავს

ნახავდით უცნაურის ცეცხლით აღგზნებულს, ამღვრეულს თვალებს,—სიყვარულით და სათნოებით აღსავსე არსებათ,—ტკბილის ოცნებით გატაცებულთ,—ცხოვრებისაგან გალაღებულთ და მწარე სიღარიბისაგან დაღდასმულთ, რომელთაც სიცოცხლე ტანჯვათ გარდაჰქცევიათ, „შოვნისათვის მხოლოდ ლუკმა პურისა“. ვინ იცის თითოეული მათგანი რა იქნებოდა ცხოვრებაში, ვინ იცის უკუღმართ აღზრდას რამდენი მათგანი დაუმახინჯებია, რამდენი გადაუგვარებია, ზნეობა-ხასიათის გაფაქიზების ნაცვლად, სულით და გულით დაუმდაბლებია, მაგრამ ამ ჟამად-კი ყველა კარგი სჩანდა: ყველა ძვირფასი და საყვარელი იყო ერთმანეთისათვის. ეროვნულ გრძნობას მტკიცედ დეეკავშირებინა და მათ შორის ძმობა-ერთობა ჩამოეგდო, არ ეფიქრებოდათ მომავალის ცხოვრებისა, მისცემოდენ დროებით თავ-დავიწყებას და უსამზღვროდ მხიარულობდენ. მაგრამ ზოგიერთების ოხუნჯობამ ისევ მოაგონა აწმყო მდგომარეობა, მოაგონა, რომ შეიძლება ზედამხედველი შემოვიდესო და საერ-

---

ლი, ღუმელთან მიუჩოჩებიათ სასწავლო მაგიდები და ზოგი ზედ შემსხდარა, ზოგი დაწოლილა, ზოგი ერთმანეთს მიჰკვრია. ყველა ცდილობს ცეცხლთან ახლო იყოს, გათოშილი ხელები გაითბოს, სისხლი მოძრაობაში მოიყვანოს; ზოგს ფეხებიც-კი შეუწყვია ღუმელის კარებში. არ ენანება დახეული ფეხთ-საცმელები, ან-კი რა ჰქნას, თოვლ-ჟყაპმა შეატანა შიგ და ფეხები დაუზრა.

სხვანი-კი, უფრო თბილად ჩაცმულები, ღუმელზე მოშორებით, ლაზღანდარობენ, კამათობენ, ერთმანეთს სიტყვას პირში აცლიან, ქვეყნის ავ-კარგიანობაზე მსჯელობენ. ოხ, რა სიცოცხლით სავსე იყო ამ დროს ამ მოზარდთა ჯგუფები. ტკბილი იმედები, ძლიერი სულის კვეთება, უდარდელობა, სასოწარკვეთილება, გაცრუებული გულის თქმა, უკმაყოფილება, ერთის სიტყვით, ყველა, რაც-კი შეადგენს ადამიანის სულიერსა თუ ზნეობრივს თვისებას, ნათლად გამოკრთოდა ამ ახალგაზდათა სახეზე: აქ ნახავდით დამშვიდებულს გამომეტყველებას, ნახავდით გულ-ჩათხრობილ, დაღვრემილ სახეს,

---

თო ხმაურობა შესწყდა, შეჩერდა; სამაგიეროდ ერთმა მოწაფემ, გვარად ვატანიამ გადაჰხედა კრებას და საყოველთაო გასაგონად სთქვა:

აქაო და ხვალიდგან თავისუფლები ვართო, აბა თუ ერთი მაინც მეცადინეობდეს.

ეჰ, შე დალოცვილო, არ გვეყო ამთენი „ტექსტების“ ღეჭვა? უპასუხა ვილაცამ.

— შენ ნუხარ ხოლმე ე „ტექსტების“ წინააღმდეგი. ღიმილით ჩამოართვა სიტყვა ღუმელზე აყუდებულმა, მაღალ-მაღალმა მოწაფემ.

— როგორ არ ვიყო, კაცო, განაგრძო იმან, ვისაც შენიშვნა მისცეს, აგერ თოთხმეტი წელიწადია, ამ ოხერ სასწავლებელში სული ამოგვდის, სწავლის დამთავრებასაც ცოტა გვიკლია, და აბა ჩვენ სულ ქვეშა ვსთქვათ, რა მიგვაქვს აქედგან?

— შენ ეგა თქვი და! ე საღვთისმეტყველო საგნებიდგანაც რომ არა გვრჩება-რა თავში? უბედურებაა, ღმერთმანი, უბედურება! დაუმატა სხვამ.

— როგორ თუ არა გვრჩება-რა შენ რომ ზარმაცი იყო ვისი ბრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ გავლენითა და ძალით მოხნული ალმართი არ არის თავ მოსაწონები საქციელი. ხოლო ჩვენს დროში-კი ყველაფერი მოსალოდნელია. დანარჩენი ამ საყურადღებო საგნის შესახებ გადავსდოთ, ვიდრე მოწინააღმდეგე ბანაკიდამ პასუხს გაგვცემდნენ.

№

ეს რას ნიშნავს?!.

რამოდენიმე დღის შემდეგ მას აქედ, რაც გარდაიცვალა ჩვენი საოთაყვანებელი მღვდელ-მთავარი გაბრიელ, ჩვენ ამოვირჩიეთ ცალკე თავად-აზნაურობის მხრით და ცალკე ქალაქის მხრით (ქალაქის საბჭოში) კომიტეტები, და დავავალეთ მათ, რომ იზრუნონ მიცვალებულის ღირსეულ დასაფლავებისათვის. პირველი ნაბიჯივე მათი ვერ გამოდგა ბეჯითი და მომარჯვებული. მაგალითად, ორივე კომიტეტების წევრები თანახმა იყვნენ და გადასწყვიტეს კიდევაც, რომ გვამი უნდა იქნეს გამოსვენებული და დროებით დასვენებული იქვე, გორაზე, პატარა ეკკლესიაში. ეს ამბავი მოეფინა მთელს ქალაქს, მაგრამ გამოსვენების დღეს დილით, როცა საშინელი თოვლის ბუქი იყო, შეგვატყობინეს ხმოსნებს, რომ მიცვალებულის გვამს ჩამოიტანენ ქვევით და დაასვენებენ საკრებულო ტაძარშიო. შეიძლება ეს უკანასკნელი განკარგულება საუმჯობესოც ყოფილიყო, თუმცა-კი ვეჭვობ, მაგრამ საქმე ის არის კომიტეტის გარდაწყვეტილებას არავითარი სიმტკიცე არ ეტყობა. აი თუნდ ეხლაც, ეს ათი დღეა კომიტეტების შეერთებულ სხდომაზე გარდაწყვეტილ იქმნა, რომ საბოლოოდ გასვენება და მიწათ მიბარება განსვენებულისა უნდა მოხდეს 3 მარტს. თუმცა ეს გადასწყვიტეს, მაგრამ დღემდის არავის გამოუცხადებია ეს ამბავი რომელიმე გაზეთის საშუალებით. რად მოხდა ეს? ნუთუ კომიტეტები მისთვის აირჩიეს, რომ თავიანთი გადაწყვეტილებანი ჯიბეში შეინახონ? თუ ფიქრობენ, რომ სულ ერთია, როდესაც განვაცხადებთო? ბ.ბ. განა იმიტომ არ ამოგირჩიესთ რომ 1) უდროვო დროს და ცუდ ტაროსში არ იქმნეს დასაფლავებული საყვარელი მღვდელ-მთავრის გვამი და მით მიეცეს შეძლება ყველა მის პატივისმცემელს დასწრებისა, 2) რომ დროზე შეგვატყობინოთ დასაფლავების დღე*) და 3) რამე წესი და რიგი მოგვცეთ განსვენებულის გაცილებისათვის?

ყველა ეს თქვენი საქმეა და თუ ეხლა ვერაფერს არიგებთ ორჭოფობის გამო, შეიკრიბენით ერთად და ერთი თავი ამოირჩიეთ ხელმძღვანელი, ერთი პატარა კომისია აღმასრულებელი და შეასრულეთ თქვენი საქმე პირ-ნათლად. საზოგადოებას აქვს უფლება და ითხოვს კიდევაც თქვენგან ამას.

კ. ბაქრაძე.

*) დრო უკვე გამოცხადდა, როგორც სჩანს დღევანდელ განცხადებიდან.

რედ.

უცხოეთი

ბულგარია. თუმც ფერდინანდი ყველა მთავრობამ აღიარა ბულგარიის მთავრად, მაგრამ ეს მაინც არ ვიცით რას იტყვიან სახელმწიფოები აღმოსავლეთის რუმელიის შემოერთების შესახებ. თუმც ფაქტიკურად ეს საქმე გარდაწყვეტილია და აღმოსავლეთის რუმელია ბულგარიასთან შეაერთა განსვენებულმა ბატენბერგის პრინცმა, მაგრამ იურიდიულად საქმე გადაწყვეტილი არ არის. აი რას ამბობს ამის შესახებ „ტანი“: საჭიროა ვიცოდეთ პრინცი კობურგისა მარტო ბულგარიის მთავრად აღიარეს, თუ ბულგარიისა და აღმოსავლეთის რუმელიისა. ამბობენ ინგლისი იმის მომხრეა, რომ ფერდინანდს მიენიჭოს მთავრობა ორივე მხარისაო, რუსეთს-კი უნდა ოსმალეთს მიემხროს და ფერდინანდი აღიაროს ფადი შაჰის მოადგილედ აღმოსავლეთის რუმელიაში მხოლოდ.

ზოგიერთი ბერძნული გაზეთი ბულგარიაში მომხდარს ცვლილებას თანაგრძნობით არ ეკიდება. ეშინიათ მაკედონიაზედ არ იქონიოს ამ საქმემ ისეთი გავლენა, რომელიც საბერძნეთისათვის საზარალო იქმნებაო. გაზეთი „ასტი“ გვარწმუნებს, რომ გაზაფხულზედ ათინაში მოვა სერბიის მეფე აღექსანდრე და მოელაპარაკება საბერძნეთის მეფეს სერბთა ბ ბერძენთა შორის კავშირის დადგენის შესახებ. ამგვარი კავშირის მოწადინეა ინგლისი, რათა ბულგარიაში რუსეთსი გავლენას წინააღმდეგობა გაუწიოს ვინმემ.

საფრანგეთი. სენატის მემარცხენეთა დასის დეკლარაცია. ჩვენ ვალდებულნი ვართ გამოვთქვათ ჩვენი აზრი პატივცემულის სენატორის მონისის განცხადების შესახებ. თუ-კი პატივცემულს დემოლსა და მისს თანამოაზრეთ წარმოდგენილი ჰქონდეთ, თუ რა მძიმე შედეგი მოჰყვება ხოლმე კონსტიტუციის რომელიმე მუხლის შესახებ აღძრულს კითხვას, მაშინ სენატის წარსულს სხდომაზედ აღარ წარმოსთქვამდნენ იმ სიტყვებს. დარწმუნებულიცა ვართ, რომ დროზედ შეჩერდებიან და აღარ მოისურვებენ ხელახლად დაეკითხონ სამინისტროს, რადგან ამას შეიძლება ისეთი შედეგი მოჰყვეს, რომელიც სრულიად წინააღმდეგი იქმნება თვით მათის სურვილისა. თუ დაუკვირდებით რესპუბლიკის წინააღმდეგ ჟურნალ-გაზეთობას და მისის ზოგიერთ მტრების მოქმედებას, რომელნიც ყოველ ღონესა ხმაობენ, რომ სენატსა და პარლამენტს შორის უთანხმოება გაამწვავონ, მიხვდებით, რა აზრი აქვს მათს ამგვარს მოქმედებას. მეორეს მხრით პარლამენტის ერთს ნაწილს დიდადაც გაუხარდება ამგვარი მძიმე საკითხავის წამოყენება, რადგან მას უთუოდ უნდა მოჰყვეს კონსტიტუციის გადასინჯვა. ეს-კი სენატის აზრს ეწინააღმდეგება. რალა თქმა უნდა, თუ მაინცა და მაინც მოისურვეს ხელახლად შეკითხვა, უმეტესობა სენატისა დამკითხველების მხარეს დაიჭერს. მაგრამ აქედამ რა გამოვა? მეორე დღესვე ამგვარს კითხვასვე აღძრავენ პარლამენტში და ეჭვი არ არის პარლამენტი სულ სხვა აზრს წარმოსთქვამს ამის შესახებ. კიდევ ერთხელ სენატი იტყვის „ჰო“-სა და პარლამენტი-კი „არა“-სა. ნუ თუ ამგვარი პასუხი გარდაწყვეტს რასმე? ეს გამოიწვევს მხოლოდ კონსტიტუციის გადასინჯვას? ნუ თუ ეს არის სენატის სურვილი. ჩვენ კარგად გვესმის რა ანგარიშით მოქმედებენ რესპუბლიკის წინაადმდეგნი, და რა აზრი აქვს მათ სურვილს სენატსა და პარლამენტს შორის უთანხმოების ჩამოგდებისას; მაგრამ ეს-კი აღარ გვესმის რა აზრი აქვს ამგვარ მოქმედებას იმ ადამიანებისას, რომელნიც ჩვენსავითვე ერთგულნი არიან პარლამენტარულის წეს-წყობილებისა. ჩვენ არ შევეხებით იმ უფლებათ, რომელიც კონსტიტუციისაგან მინიჭებული აქვს სენატსა და პარლამენტს; აზრად არა გვაქვს კონსტიტუციის მე—6—ე მუხლის განმარტება. ჩვენ გვგონია მხოლოდ, რომ ამ მუხლის განმარტების უფლება არა აქვს არც სენატს არც პარლამენტს, არც მთავარ-მინისტრს, არც თვით რესპუბლიკის პრეზიდენტს,—სხვა და სხვა მუხლის განმარტება მხოლოდ კონგრესს, სენატისა და პარლამენტის შეერთებულ სხდომას შეუძლიან. მაგრამ თუ-კი ვინმე მოისურვებს დემოლის აზრის წინააღმდეგობას, მრავალ საფუძველს მოიპოვებს. წინანდელ შემთხვევებს, რომ არ შეეხონ, გამბეტასი, ჟიულ ფერის და სხვათა აზრიც რომ არ მოიყვანონ, გამოჩენილ იურისტთა აზრებიც, რომ არ მოიხსენონ, საკმარისია კონსტიტუციის მთავარი აზრი გამოარკვიონ. მაშინ აი რას გვეტყვიან იგინი: სენატის დანიშნულებაა უფრო მეტი დაკვირვება და სიდინჯე შეიტანოს საქმეში, იგი ინიციატორის როლს-კი არ თამაშობს, უფრო სხვების ინიციატივა უნდა განიხილოს, მისი საქმეა დაიფაროს კონსტიტუცია და არა ის, რომ დაამხოს და დაასახიჩროს იგი. სენატს აქვს მინიჭებული უფლება მინისტრთა განსამართლებისა, როცა პარლამენტი მათ პასუხის გებაში მისცემს ხოლმე; სენატი პარლამენტისაგან ამორჩეულია და ამისთვის მისი დათხოვა შეუძლებელია და თვით-კი შეუძლია პარლამენტის დათხოვა; ამ დიდ უფლებათა გარდა სამინისტროს დამხობის უფლება რომ მიენიჭოს კიდევ სენატს, მაშინ, ხომ პარლამენტი რაღა იქმნება; გარდა ამისა ეს კიდევ უფრო დაამძიმებდა იმ ნაკლს, რომელიც პარლამენტურ წეს-წყობილებასა აქვს—სამინისტროს დაუმკვიდრებლობა. ვიმეორებთ, ჩვენ არ შევეხებით საგნის შინაარსს, მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ თუ კონსტიტუციის შესახები კითხვა წამოაყენეს, ამ კითხვის გარდაწყვეტა მარტო კონგრესს შეუძლია.

ნუ თუ ჩვენ ასეთი მძიმე ცვლილება უნდა მოვახდინოთ, ნუ თუ მთელი კონსტიტუციის წეს-წყობილებას უნდა შევეხოთ, მარტო მიტომ, რომ ერთი მუხლი სისხლის სამართლის წარმოების წესდებისა ვერ არის, მათის აზრით, კარგად აღსრულებული. ნუ თუ სერიოზულ პოლიტიკურ კრიზისს გამოვიწვევთ რაღაც ფორმალური კითხვის გამო, რომელიც ყურადღების ღირსიც არ იყო? ნუ თუ ღირს ამად ერთი ვიღაც მოხელე, რომელიც შეიძლება სულ მართალი არც-კი იყოს“.

დეკლარაციის ბოლოს სენატორები მემარცხენეთა სთხოვენ სენატს ყოველივე ეს მხედველობაში მიიღონ. თანაც ამ სენატორებმა განუცხადეს სამინისტროს თავმჯდომარეს, რომ მხარს მისცემენ მათ.

აბისინია. იტალიის ხალხი შფოთავს, სამხედრო სამინისტროს ორგანოც „Italia Militare“ ირწმუნება, აბისინიის ჯარებმა მიტევებითი ომი დაიწყესო. ამ გაზეთის სიტყვით, მათი უმთავრესი ჯარი ადუიდამ გამოვიდა და გოდოფელასს მიდის იმ განზრახვით, რომ გენერალ ბარატიერს, დაბრუნება თუ დააპირა, გზა შეუკრან.

9 იანვარს მოხდა მინისტრთა საგანგებო ბჭობა და გადასწყვიტეს, აფრიკაში ახალი ჯარები გაგზავნონ 12—20 ბატალიონამდე. აფრიკაში გენერალი ბალდისერა გაემგზავრება.

ჟურნალ-გაზეთებიდამ და წიგნებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— საფრანგეთის პედაგოგი მაქს ლეკლერკი გაგზავნილი იყო ამერიკაში, რომ ენახა და ესწავლა როგორ არის მოწყობილი სწავლა-განათლების საქმე ჩრდილო ამერიკაში. წვეულება ყოფილიყო და იქ ლეკლერკმა სწავლა-განათლების სამინისტროს მიულოცა ამ საქმეში ასეთი ბრძენი ბრძანება: „ეს ერი ამ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ისეთ ბრძენ ბრძანებას ბევრს ბრძანებს, ამ ბრძანებაში ბევრი ბრძენი ბრძანებაა“.

— ინგლისელ ბანკირ ბეინ-ს ბანკირობა ბევრ ბანკირ ბანკირებს ბანკირობენ. ბანკირ ბეინ-ს ბანკირ ბანკირ ბანკირ

ცა, რომ ეგრე მშვენივრად არის ამერიკაში დაყენებული საქმე მოზარდ თაობის სწავლა-განათლებისა. სწავლა-განათლების მინისტრმა ჯეისმა პასუხად ეს უთხრა თურმე: „ეს ღვაწლი სამინისტროსი კი არ არის, მასწავლებლებისაა. სამინისტრო იმათი მადლობელია, რომ ასე მშვენივრად მიდის ჩვენში სწავლების საქმე, რომელიც ჩვენში ბევრით წინ არის ევროპაზე... ევროპაში მასწავლებელი ყურ-მოჭრილი მსახურია სამინისტროსი; რასაც უბძანებენ, მარტო იმას ასრულებენ. ჩვენში-კი, ამერიკაში, სულ სხვაა. ჩვენში სამინისტროა მსახური მასწავლებელთა. სამინისტრო ასრულებს მარტო იმას, რასაც მასწავლებელნი გამოარკვევენ, აღნიშვნენ, რასაც იმათი გამოცდილება და ცოდნა გვაჩვენებს და დაგვისახელებსო“.

ამ სიტყვებს ძალიან ჩაუფიქრებია საფრანგეთის პედაგოგი ლეკლერკი მასზე თუ—იქნება სწავლების საქმე ამერიკაში იმიტომაც არის წინ ევროპის სწავლების საქმეზე, რომ ასეთი პატივი ჰქონიათ იქ მასწავლებელთა, იმათთვის ასე ყური უთხოებიათ, სამინისტრო იქ იმათ მიერ ნანიშნ და ნაჩვენებ გზას ადგია და მარტო იმათ მიერ გამორკვეულს რიგსა და წესს ასრულებს და მისდევსო. ამაზე ლეკლერკი გადაწყვეტილს პასუხს არ იძლევა და იქაურ სკოლების ამბავს მოგვითხრობს. იგი სხვათა შორის აგვიწერს ერთს სკოლას, საცა ამზადებენ მასწავლებლებს, ქალი იქნება, თუ ვაჟი. ამ სკოლას ჰქვიან თურმე „ნაციონალური სკოლა“ და აქედამ გამოდიან მასწავლებელნი ჩრდილო-ამერიკის სკოლებისათვის.

იგი „ნაციონალური სკოლა“ (ოსვეგოშია ნიუორკის შტატში, ონტარიოს ტბასთან) უშველებელ სამ-სართულიან სახლშია. აქვს თავისი მუზეუმი, ლაბარატორია და სხვა ამისთანა. სწავლება თეორიულია და პრაქტიკული. ასწავლიან ყველაფერს, რაც საჭიროა და ამასთან რაც ცხოვრებაში გამოსაყენებია და მრავალ გვარ ცოდნას აწვდიან: ხელოვნებისას, სიტყვა კაზმულ ლიტერატურისას, სოფლის მეურნოებისას, მანქანის აგებისას, გიგიენისას, მკურნალობისას, ტყეთა მოვლისას, მადნის საქმისას და სხვას ამისთანას. ამერიკაში მასწავლებელისაგან ენციკლოპედიურ ცოდნას თხოულობენ; მასწავლებელმა ყველაფრის პასუხი უნდა იცოდეს, რასაც-კი ყმაწვილები მოჰკითხვენო, უნდა იცოდეს ახსნა არამც თუ მარტო ბუნების მოვლენისა რისმე, არამედ იმისიც, რაც ყოველ-დღიურ ცხოვრებაში მოხდება ხოლმე. „ნაციონალურს სკოლას“ საგნადა აქვს ღონის-ძიება მისცეს იქ მოსწავლეს ყოველივე ეს იცოდეს და ისწავლოს შედარებით მოკლე ხანშიო.

— ხილის წნილად ჩადება სახანგრძლივოდ დიდი რამ არის, ვისაც ბევრი ხილი მოსდის და ვერ ეყიდება სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო. ვთქვათ, ან მუშტარი არა ჰყავს, ან ბაზარზე შორს არის ასე, რომ გადატანად არა ჰღირს, ან კიდევ შიშია გაფუჭებისა გზაზე და სხვა ამისთანა. ამისთანა შემთხვევაში წნილად ჩადება ხილისა ბევრს ხეირს მისცემს ხილის პატრონს, ნამეტნავად თუ ისეთს წნილს გააკეთებს, რომ დიდხანს გასძლოს და არ გაფუჭდეს. მაშინ თუ მუშტარი შინ არ მიუვა, თვითონ წაიღებს ან გაჰგზავნის ბაზარში გასასყიდად, თუნდაც შორს იყოს ბაზარი, შიში არა აქვს წახდენისა და გაფუჭებისა და ურიგო ფასადაც არ გაიყიდება.

მომზადება სახანგრძლიოდ ხილის წნილისა ბევრს დავი-დარაბას არა თხოულობს თურმე და სულ უბრალო საქმეა, როგორც იმოწმებიან მცოდნე-კაცნი. აი მაგალითებრ:

უნდა აიღოთ ხუთს ბოთლს ცხარე თეთრს ძმარზე ორი გირვანქა შაქარი, ერთი ჩაის კოვზი მარილი, მიხაკი, დარიჩინი და მუსკატის ყვავილი (мускатный цвѣтъ) არეული სულ ერთად მეოთხედი გირვანქისა, ერთი მეოთხედი საათისა ყველა ეს ერთად მოადუღოთ, რომ ძმარი მოიხარშოს და მიხაკ-დარიჩინ-მუსკატისაგან სუნი აიღოს. ამის შემდეგ ძმარი ერთი მეოთხედი საათისა ისე უნდა დარჩეს, რომ განელდეს და მერე განელებული უნდა დაესხას დასაწნილებელ ხილს. ექვსი საათი რომ გავა, ძმარი ისევ უნდა გადმოიწუროს ხილისაგან, ხელახლად ადუღდეს საათის მეოთხედის განმავლობაში. და როცა განელდება ასე, რომ ნელ თბილი იქმნას, ხელახლად დაასხას იმავე საწნილე ხილსა. ამის შემდეგ ხილი 12 საათი უნდა დარჩეს, რომ გაცივდეს. სჯობია, რასაკვირველია, რომ ამისათვის ღამე ამოირჩიონ. მეორე დილას ხელახლად უნდა გადმოიწუროს დასხმული ძმარი და მესამედ წამოდუღდეს. აი მთელი თითქმის ოსტატობა ამ საქმისა. მარტო ეს-კი საჭიროა, რომ ძმარი რამდენსამე ხანს შემდეგ უნდა გაიწუროს კარგად და უკანასკნელად ისე დაესხას ხილსა. ყველა ეს იმ ჭურჭელში უნდა გაკეთდეს, რომელშიაც ჰსურთ წნილი შეინახონ.

ასე კეთდება წნილი ქლიავისა თეთრი იქნება, თუ შავი ქლიავი, ალუბლისა, ყურძნისა, საზამთროსი და ნესვისაც-კი. მსხალისა და ვაშლისა ცოტა სხვანაირად უნდა გაკეთდეს. მსხალი და ვაშლი პირველშივე თვითონ მარინადში უნდა ადუღონ იმ დროამდე, მინამ კანს დაიწმენდენ. საზამთროს და ნესვის შესახებ ამბობენ, რომ ცუდ-უბრალოდ დაჭრა ამათი და ისე ჩადება წნილად თვალისათვის სასიამოვნო არ არისო, სჯობსო ბურთ-ბურთად დაიჭრას და ისე ჩაიწყოსო. (ნ.)

წერილი რედაქციის მიმართ.

ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულ გაზეთ «იკერიის» შეწყობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადო ქართველთა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა სოფელ პატარძეულში წიგნთ-საცავის დასაარსებლად 22 ცალი სხვა-და-სხვა თაგისის გამოცემისა და აგრეთვე გაზეთ „იკერიის“ რედაქციის, რომელმაც უფასოდ დაგვითმო თაგისი გამოცემა.

დამაარსებელთაგანი მარიამ ლეონიძე.

96 წ. 19 თებერვალი.

საქართველოს თავადნი.

ოთავადნი ნიკარაძენი. 6 დეკემბერს 1850 წელს უმაღლესად დამტკიცებულს იმერეთის თავადთა სიოჯახო სიაში აღნიშნულნი არიან თავადნი ნიკარაძენი და ჩამოთვლილია 9 ოჯახობა.

6 მაისს 1862 წ. უმაღლესის ბრძანებით თავადებად დამტკიცებულ არიან თავადნი ნიკარაძენი: 1) დიმიტრი, იოსები, სვიმონი და მანუჩარ აბესალომის ძენი; 2) სოლომონ გიორგის ძე; 3) ბეჟან ზურაბის ძე; 4) დავით ბერის ძე და 5) ნიკოლოზ ოტიას ძე.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 22 აპრილს 1870 წ., 4 დეკემბერს 1878 წ, და 7 იანვარს 1879 წ. ამ გვარს შეუერთდნენ თავადნი ნიკარაძენი; 1) ოტია, დავით და მიხეილ ფარსადანის ძენი; 2) ლევანი, პატა, როსტომ, ფარნაოზ და დიმიტრი ბეჟანის ძენი და 3) ბლატონ თეიმურაზის ძე.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

17 თებერვალი.

პეტერბურგი. თებერვლის უკანასკნელს რიცხვებში რუსეთის რკინის გზათა წარმომადგენელთა კრებაა პეტერბურგს დანიშნული.

პარისი. ბრიუსელის სამხედრო გაზეთი შიშობს, რომ თუ ომი მოხდა, გერმანია ბელგიის ნეიტრალიტეტს დაარღვევსო. გაზეთი საჭიროდ სთვლის 70,000 კაცი მეცხოვნე ჯარი და 130,000 ლაშქარი იყოს შემდგარი უთუოდ.

ვენა. სოფიაში ნიკოლაევმა თავისს კანდიდატობაზე უარი სთქვა ცანკოვის სასარგებლოდ.

კონსტანტინეპოლი. ადანიდამ იუწყებიან, რომ სომხებზე ძალა იხმარესო. მოკლულ იქმნა 15 სომეხი 15 დაიჭრაო.

ლონდონი. გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა კერზონმა განაცხადა პარლამენტში, რომ არც სეული და არც კორეს სხვა რომელიმე ადგილი არ არის დაჭერილი რუსებისაგანაო, და როგორც ვიცით, ვერც დაიჭერენო. რუსის 150 ზღვაოსანი რუსეთის მისსიის სახლს სდარაჯობს სეულში, სადაც ამ ჟამად მეფე იფარავს თავს, რადგანაც აჯანყება მოხდა და მისი სიცოცხლე საშიშს მდგომარეობაშია. კორეს სატახტო ქალაქში 500 იაპონელი ჯარის-კაცი სდგას. შემდეგ სთქვა კერზონმა, რომ ამ ბოლოს დროს რუსეთის ესკადრას ხუთი ხომალდი კიდევ წაემატა ჩინეთის წყლებზე. აშმედ ბარტლეტი დაეკითხა კერზონს: მიჰმართა თუ არა წინადადებით ოსმალეთის მთავრობამ, ან ევროპის სხვა რომელმამე კაბინეტმა დედოფლის მთავრობას, რომ ეგვიპტე გაეწმინდათო? კერზონმა უპასუხა: „ჩემი პასუხი არაა.“ მუნი დაეკითხა: მართალია თუ არა, რომ რუსეთ-ჩინეთის მიერ შეკრულის ხელშეკრულობით რუსეთს ნება მიეცა რკინის გზა გაიყვანოს ნერჩინსკიდამ ციცკარზე ვლადივოსტოკამდე და ციცკარიდამ პორტ-არტურამდე, ეს გზა რუსეთის მმართველობას დაუმორჩილოს და გარდა ამისა ისეთი სავაჭრო პრივილეგიები მიიღო, რომელიც დიდს უპირატესობას აძლევს. კერზონმა უპასუხა, რომ რუსეთის მთავრობამ განუცხადა ბრიტმნიისას, ეს ხმა ტყილიაო.

18 თებერვალი.

პეტერბურგი. მორიგი გენერალი მისის უდიდებულესობის გენერალ-ადიუტანტი ჩერევინი საშიშრად არის ავად ფილტვების ანთებით. დღეს უფრო ცუდათ არის.

პარისი. რესპუბლიკის პრეზიდენტი 17 თებერვალს ლიონს წავიდა; მას თან გაჰყვნენ მინისტრ-პრეზიდენტი და სავაჭრო საქმეთა მინისტრი. საზოგადოება აღტაცებულის ვაშას ძახილით ეგებებოდა ფორს.

კონსტანტინეპოლი. დღეს საელამალექის შემდეგ სულთანმა ელჩი ნელიდოვი და რუსეთის სადიპლომატო აგენტი სოფიაში ჩარიკოვი ინახულა.

ოფიციალურად განაცხადეს, რომ უცხოეთის გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ მუშაობის დროს იმ ადგილას, სადაც სულთანმა უნდა გაიაროს რამაზანის 15-ე დღეს, მზადება ჰქონიათ, რომ სულთანისათვის რაიმე ვნება მიეყენებინათო, სრული სიცრუეაო.

ვაშინგტონი. 64 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6-ისა სენატმა მიიღო წინადადება, რომ კუბის კუნძულის აჯანყებულნი მებრძოლ მხარედ იქმნან აღიარებულნი.

19 თებერვალი.

პეტერბურგი. მისი უდიდებულესობის მორიგი გენერალი ჩერევინი დღეს მეტად ავად შეიქმნა. ავადმყოფმა აღსარება აღიარა და წმიდა საიდუმლო მიიღო. ავადმყოფისათვის ლოცულობს იოანე კრონშტადელი.

გელსინგფორსი. ანდრეას რკინის გზის სადგურთან ვაგონმა იფეთქა. ორი კაცი მოჰკლა, ხოლო შვიდი დასჭრა. აფეთქების მიზეზი ყუმბარა ყოფილა, რომელიც რომელილაც მგზავრს ჰქონია თან.

პეტროზავოდსკი. პირველი ოთქლით მატარებელი ვოლოგოდოარხანგელის რკინის გზისა მოვიდა 15 თებერვალს კარგოპოლის მაზრაში.

ლიონი. 4 საათზედ მოვიდა რესპუბლიკის პრეზიდენტი. მცხოვრებნი აღტაცებულად მიეგებნენ ბ. ფორს. პრეზიდენტი წავიდა ქალაქის საბჭოში და მერმე საპრეფექტოში, სადაც მიიღო სხვა-და-სხვა მოხელეები.

ვენა. კრიტოსზე ხელახალი აჯანყება მოხდა. ორი ქრისტიანია მოკლული და ერთი ოსმალელი ჟანდარმი, სამი ქრისტიანი დაჭრილია. წესიერების დასამყარებლად გაგზავნეს ჯარი. გენერალ-გუბერნატორი ცუდ მდგომარეობაშია. ამბობენ, რომ ამ ადგილზე ჯევათ-ფაშას დანიშვნენო. საქმის გამოსწორება მაშინ შეიძლება, თუ პორტა ეხლა მოჰკიდებს ამას ხელსაო.

კონსტანტინეპოლი. სულთანმა სრულიად მშვიდობიანად იმოგზაურა სტამბულში რამაზანის დროს.

ფილიპოპოლი. ჩარიკოვს ებოძა ორდენი მეჯიდიე 1-ის ხარისხისა. ჩარიკოვი პეტერბურგს მიდის.

კონსტანტინეპოლიდამ იუწყებიან, რომ სამხედრო მინისტრის ადიუტანტს შევჩიკს, კომენდანტის თანაშემწეს დოლმა-ბახჩეს, მაიორს გერშიდს და სამხედრო სასწავლებლის მასწავლებელს მაიორს ახმედს ღირსება ახადეს და გაჰგზავნეს მადნებში სამუშაოდ.

ნიუ-იორკი. ცოცხალი კაცის ტვინის ფოტოგრაფიული სურათი გადაიღეს პირდაპირ თავის ქალიდამ.

განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ი. ფ. ბროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. მ. ბუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, ორშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ბ. კარაპეტიანტი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ბროტასევიჩი. 5—6 საათ. ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ბუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ს. ბ. ბურჯო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ს. ბ. ბურჯო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკ. ჩინელოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

ტბილისის ექიმი ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—78).

გამგეობა ტფილისის სათავადაზნაურო ბანკისა და ტფილისის საკომერციო ბანკი ამით აცხადებენ, რომ მათ შორის შეკრულ პირობის ძალით 1-ლ მარტიდამ ამა წლისა დასახელებულ საკომერციო ბანკის განყოფილებანი—ბაქოს, ერევანს და ბათუმში მიიღებენ სათავადაზნაურო ბანკის მსესხებელთაგან შემოსატან გარდასახადს გარდმოსაცემად ამ ბანკისა. (3—ნ—2)

„საბავშვო საავადმყოფო“

„იასლის“ საზოგადოებისა

იღებენ ბავშვებს, მძიმე გადამდებ სენით ავადმყოფთ (ყვავილით, წითელით, ყელჭირვებით, დიფტერიტითა და სხ.) ძუძუთა ბავშვებთან ერთად მიიღებიან მათი დედებიც, ანუ ძიძები. მიღება ავადმყოფთა ყოველ-დღე შეიძლება. წამლობა და ავადმყოფთა შენახვა უფასოა. (ვერა, წყნეთის ქუჩა, სახლი ხალიაპინისა). (5—4).

ᲘᲮᲘᲐᲠᲔᲗᲘ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ

სპრონი „ᲕᲘᲖᲔᲚᲘ“—იაფი, კარგი, პრაქტიკული

და მარგებელია.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ „ᲐᲛᲮᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ“ ს.-პეტერბურგში.

ს.-პეტერბურგი, ᲜᲔᲕᲡᲙᲘᲡ ᲞᲠ., 9., მოსკოვი, ᲒᲠᲐᲜᲘᲢᲜᲘ ᲠᲘᲓᲘᲡᲗᲐᲜ. (9—7—8).

Дозволено цензурою, Тифлисъ 19-го Февраля 1896 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.